საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება:

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა (“Human Geography”)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში - BA of Social Sciences in Human Geography.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 ECTS

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი იოსებ სალუქვაძე , პროფესორი გიორგი გოგსაძე

პროგრამის ავტორები:იოსებ სალუქვაძე, გიორგი გოგსაძე.

სწავლების ენა: ქართული ენა

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 240 კრედიტი

მათ შორის:

- საფაკულტეტო სასწავლო კურსები: 45 კრედიტი
- ძირითადი სპეციალობა 120 კრედიტი. მიმართულება სტუდენტს სთავაზობს პროგრამას, რომელშიც შედის 20 სასწავლო კურსი, ჯამში 145 კრედიტი. სტუდენტი ვალდებულია შუასრულოს 120 კრედიტი, მათ შორის 70 კრედიტი სავალდებულო და 50 კრედიტი არჩევითი კურსებიდან.
- დამატებითი სპეციალობა ან სხვა სასწალო კომპონენტები - 75 კრედიტი, მათ შორის დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტი და თავისუფალი კურსები - 15 კრედიტი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ აირჩევს დამატებით სპეციალობას მას უფლება აქვს 60 კრედიტი შეასარულოს მისი შეხედულებისამებრ სხვა სასწავლო კურსების ხარჯზე.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამების ამოცანას წარმოადგენს იმ ახლაგაზრდების მომზადებას, რომლებიც დაინტერესებულები არიან შეისწავლონ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების სივრცე–დროით ასპექტები და ამის საფუძველზე შიმუშავონ ისეთი რეკომენდაციები რომლებიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო/საზოგადოებრივი/ბიზნეს–ორგანიზაციების მართვას და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად საზოგადოებრივი გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო ორგანიზაციებში, სხვადასხვა დონის (ცენტრალური, ადგილობრივი) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში, და ა.შ.

უფრო კონკრეტულად გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში/ფირმებში, მას მედიაში, სასტუმრო და ტურიზმის ბიზნესში, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში, ასევე ყველა იმ სამსახურში, სადაც საჭიროა გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები, კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია და სხვ

საზოგადოებრივი გეოგრაფია წარმოადგენს გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემის ნაწილს, რომელიც შეისწავლის დედამიწაზე არსებული ანტროპოგენული (ადამიანის მიერ შექმნილი) ობიექტებისა და სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცით–დროით ასპექტებს. მისი შესწავლის ზოგად ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისნმიერი საზოგადოებრივი მოვლენა, პროცესი და სისტემა რომელსაც გააჩნია (ან შეიძლება პოტენციურად გააჩნდეს) სივრცითი სტრუქტურა.

საზოგადოებრივი გეოგრაფია მჭიდროდაა დაკავაშირებული სოციელურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, კერძოდ კი ყველა სამეცნიერო დისციპლინასთან, რომლებიც შეისწავლის დედამიწაზე არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ორგანიზაციისა და განვითარების ასპექტებს.

ტრადიციულად საზოგადოებრივ გეოგრაფიას მიეკუთვნება:

- ეკონომიკური გეოგრაფია,
- სოციალური გეოგრაფია,
- მოსახლეობის გეოგრაფია,
- ქალაქების გეოგრაფია,
- კულტურის გეოგრაფია,
- განვითარების გეოგრაფია,
- მეურნეობის გეოგრაფია,
- პოლიტიკური გეოგრაფია

გარდა ამისა, ცალკე გამოიყოფა *თეორიული გეოგრაფია*, აგრეთვე ქვეყანათმცოდნეობა, როგორც საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი გეოგრაფიის გამაერთიანებელი დისციპლინა და *კარტოგრაფია* (გეოდეზიისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც უზრუნველყოფს ყველა გეოგრაფიული დისციპლინის ფუნქციონირებას.
საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინების კონტაქტის არეში არსებობს მრავალი ე.წ. მომიჯნავე დისციპლინა (cross-disciplines), როგორიცაა გეოეკოლოგია, გეოეკონომიკა, ისტორიული გეოგრაფია, გეოპოლიტიკა და ა.შ.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის, ისევე როგოეც მთლიანად გეოგრაფის კვალიფიკაცია იმით არის გამორჩეული, რომ ის ფლობს დედამიწაზე მიმდინარე პროცესების სივრცე და დროით (ოთგანზომილებიან) ხედვას, რაც საზოგადოდ მხოლოდ გეოგრაფიისათვის არის დამახასიათებელი და არატრანსფერებადია.

საზოგადოებრივი გეოგრაფია უშუალოდაა დაკავშირებული იმ მუდმივ, სწრაფ, ინტენსიურ ცვლილებებთან, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივ

სისტემებში ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე; მ.შ. საზოგადოების ორგანიზაციისა და მართვის მოდელების დივერსიფიკაციათან, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციასთან, მზარდ კულტურული მრავალფეროვნებასთან, გლობალურ ჰავის ცვლილებასთან და ბუნებრივი გარემოს კრიზისთან. შესაბამისად საზოგადოებრივი გეოგრაფიის განათლების მიზანს წარმოადგენს: საზოგადოებრივი სისტემების ორგანიზაციას და ფუნქციონირების სივრცე–დროითი ასპექტებისა და შესაბამისი სწრაფცვალებადი გარემოს შესწავლა

წინამდებარე დოკუმენტი შეეხება პირველი საფეხურის კვალიფიკაციას, რომელიც იძლევა ზოგად ცოდნას გეოგრაფიაში საზოგადოების ფუნქციონირების სივრცე–დროითი ასპექტების შესახებ, რაც სტუდენტის ფართო კომპეტენციით მომზადებას ნიშნავს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
საზოგადოებრივ გეოგრაფიაში საბაკალავრო პროგრამაზე ჩაბარებას არ გააჩნია განსაკუთრებული წინაპირობები
სწავლის შედეგი;
სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი
სასწავლო პროგრამის დასახელება: **„საზოგადოებრივი გეოგრაფია“**

ცოდნა და გაცნობიერება	აცნობიერებს დედამიწიაზე არსებული სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მათ ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, მათი ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს. აღიქვამს და ესმის დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და პლანეტაზე მათი გავლენის შედეგები სივრცესა და დროში. აცნობიერებს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და/ან ფიზიკურ–გეოგრაფიული/ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს. აცნობიერებს ურთიერთდამოკიდებულებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის და შეუძლია მისი შედეგების შემოწმება. აკვირდება ბუნებრივ გარემოს და აღიქვამს მასში მიმდინარე პროცესებს. აღიქვამს და განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მდებარეობის მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებას. აცნობიერებს სხვადასხვა დონის სივრცობრივ კავშირებს. შეიძენს სხვა დისციპლინების მრავალფეროვანი მიდგომების ცოდნას, შეუძლია მათი გაგება და გამოყენება გეოგრაფიულ კონტექსტში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები	მოიძიებს დამოუკიდებლად ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და საველე პირობებში), აგროვებს, განაზოგადებს, ამუშავებს, აანალიზებს, აფასებს, ახდენს მის დოკუმენტირებას და შედეგების მოხსენებას. განსაზღვრავს გეოგრაფიული მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს, მათ როლს საზოგადოებაში და პასუხისმგებლობას. იყენებს რიცხობრივ, სტატისტიკურ და კარტოგრაფიულ მეთოდებს საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას. მსჯელობს ზოგად სივრცით და/ან დროით კონტექსტში. შეუძლია კარტოგრაფიული მასალის წაკითხვა და ინტერპრეტაცია. გააჩნია გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საფუძვლების ცოდნა. სწორედ იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას.
ღირებულებები	კურსდამთავრებულები დაამკვიდრებენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ტოლერანტობა, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა.
დასკვნის უნარი	შეუძლია ზოგადი პრობლემის იდენტიფიცირება, დასმა და გადაწყვეტა. შეუძლია სოციალური და გეოგრაფიული პროცესების შესახებ ზოგადი დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.

სწავლის უნარი	შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. შეუძლია სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება. დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება. შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა. შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და მონაცემების ინტერპრეტაცია. შეუძლია დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების პასუხისმგებლობით შესრულება. ხელეწიფება სხვებს აუხსნას ზოგადგეოგრაფიული და ზოგადსოციალური პროცესებისა და მოვლენების ძირითადი არსი
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია. ფლობს ინგლისურ ენას B2 დონეზე – წარმოადგენს დამოუკიდებელ მოსაუბრეს გეოგრაფიის სფეროში.
	შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა (დროის მენეჯმენტი) დასახული მიზნის მისაღწევად . ხელეწიფება ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში. იცნობს და იყენებს თანამედროვე ზოგად საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;

ვერბალური, ახსნა-განმარტებითი მეთოდი,
ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი,
საველე კვლევისა და დაკვირვების მეთოდი,
შედარებითი ანალიზის მეთოდი,
მონაცემთა ვიზუალიზაციისა და კარტოგრაფიული მეთოდი,
სტატისტიკური ანალიზის მეთოდი,
გუნდური მუშაობა და დისკუსია, გეოინფორმაციული (გის) და დისტანციური ზონდირების მეთოდი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

გამოიყენება შეფასების 100 ქულიანი კომბინირებული სისტემა.

(A) 91 -100 ფრიადი

(B) 81 -90 ძალიან კარგი

(C) 71 -80 კარგი

(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 - 60 საკმარისი

(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ტრადიციულ ლექციებთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნას პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, პროექტები, ჯგუფური მუშაობა და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს როგორც შესაბამის ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლით, ასევე საველე სამუშაოს პირობებში. ბაკალავრიატის დონეზე პრაქტიკისა და საველე სამუშაოს მოცულობა არ უნდა შეადგენდეს სტუდენტის საერთო აკადემიური დატვირთვის 1/10–ზე ნაკლებს.

სტუდენტის მიერ კომპეტენციების დაუფლების შეფასების მიზნით მიზანშეწონილია ისეთი კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც სრულად და მკაფიოდ ასახავენ, შეუძლია თუ არა მას პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა, სამუშაოს წანამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, საკვლევი საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, გადაცემა, არგუმენტირება/დაცვა, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება. შეფასება უნდა იყოს როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე ფორმატიულიც.

დეტალური ინფორმაციისათვის იხ. დანართი (სასწავლო გეგმა).

დასაქმების სფეროები: შეიძლება დასაქმდნენ საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში/ფირმებში, მას მედიაში, სასტუმრო და ტურიზმის ბიზნესში, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში, შრომის ბაზართან და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში

დამატებითი ინფორმაცია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამები არსებობს თითქმის ყველა დასავლურ უნივერსიტეტში, სადაც ისწავლება გეოგრაფია.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება სხვა მიმართულებების სტუდენტებს სთავაზობს დამატებით (Minor) პროგრამას, რომელიც მოიცავს 15 სასწავლო კურსს, ჯამში 105 კრედიტი. საზოგადოებრივი გეოგრაფიაში დამატებითი პროგრამის შესასრულებლად სტუდენტმა უნდა შეასრულოს 60 კრედიტი, მათ შორის 30 კრედიტი სავალდებულო კურსების, ხოლო დანარჩენი 30 კრედიტი არჩევითი კურსების ხარჯზე (იხ. დანართი).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საზოგადოებრივი გეოგრაფიის პროგრამა (როგორც მაგისტრატურის, ასევე ბაკალავრიატის და დოქტორანტურის დონეზე) წარმოდგენილია მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **საზოგადოებრივი გეოგრაფია**

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი (240 კრედიტი)

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: ი.სალუქვაძე, გ. გოგსაძე

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება: აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილება N 137/2015, 28 დეკემბერი 2015.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 25.06.2011 ოქმი #4

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012 სასწავლო წელი

საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება: აკადემიური საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ დადგენილება N 137/2015, 28 დეკემბერი 2015

საფაკულტეტო კურსები /												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	**სასწავლო კურსის დასახელება**	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**		**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**			**ჩაბარება**	**საგანზე დაშვების წინაპირობა**	**სემესტრი**		**ლექტორი/ლექტორები**
			ლექცია	**სემინარი / ჯგუფი / პრაქტიკუმ**	**ლექცია–ჯგუფური მუშაობისა**	**შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება**	**დასკვნითი გამოცდის**	**დასკვნითი გამოცდის**		**შემოდგომა**	**გაზაფხული**	
	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	5	30		37	10+10	35	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ.ჯავახიშვილი, ლ.სურმანიძე, ლ.წულაძე,თ.აბაშიძე შ.თურიაშვილი, ი.ჟვანია, ხ. მარწყვიშვილი, მ.კაკაჩია, ე.ფირცხალავა

	ინგლისური ენა 1[1]	5	30	30					წინაპირობის გარეშე	✓		9
	ინგლისური ენა 2	5	30	30							✓	
	სტატისტიკა 1	5	30	30	40	10	13	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ო. ღლონტი, ბ. დოჭვირი ტყეშელაშვილი მ. კეკელია
საფაკულტეტო (საბაზო) არჩევითი კურსები (მინიმუმ 1 საგანი)												
	ანთროპოლოგია	5	30		35	20	38	2	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. მშვენიერაძე
	გამოყენებითი ეკონომიკა	5	30		78	5	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯ. ჯანჯღავა
	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	30		60	10+2	20	3	წინაპირობის გარეშე		✓	გ. მაღრაძე
	აკადემიური წერა	5		30	52	4+16	20	3	წინაპირობის გარეშე		✓	ხ. მარწყვშვილი თ. უკლება მ. აბრამიშვილი მ. შენგელია
	ლოგიკა	5	30		65	15	13	2	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. თომაშვლი
	ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30		50	23	20	2	წინაპირობის გარეშე		✓	ზ.დავითაშვილი კ.შუბითიძე
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები პროგრამის სტუდენტებს ევალებათ 4, მათ შორის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი კურსის გავლა. ეს უკანასნელი მათ ეთველბათ სპეციალობის მაპროფილებელ სასწავლო კრედიტებში												
	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	57	20	15	3	წინაპირობის გარეშე		✓	შ. თურქიაშვილი ზ. ტატანაშვილი გ.წოწკოლაური
	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი /შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში/	5	30	15	61	6	10	3	წინაპირობის გარეშე		✓	ი.სალუქვაძე თ. დოლბაია ბ. წერეთელი გ. კვინიკაძე
	შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში	5	15	30	56	12	9	3	წინაპირობის		✓	მ.მაცაბერიძე

[1] შენიშვნა: საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიცწარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდებიან ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსონ თავისუფალი კრედიტებით.

												ს.დუნდუა ზ.აბაშიძე კ.კაკაჩია
სოციოლოგიის შესავალი	5	1 5	15	65	15	12	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓		ა.ბერძენიშვიი ი.კაჭკაჭიშვილი ნ. ამონაშვილი კ.ქეცბაია შ. თურქიაშვილი მ. ბურძენიძე
საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	56	12	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓		თ.თურმანიძე; ფ.ასანიშვილი
ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	63	8	6	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓		მ. შამილიშვილი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სავალდებულო სასწავლო კურსები

	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი /შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში/	5	30	15	61	6	10	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი.სალუქვაძე თ. დოლბაია ბ.წერეთელი გ. კვინიკაძე
	შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში	5	30	30	49	4	9	3	მხოლოდ საზ.გეოგრაფიის სტუდენტები	✓	✓	ვ.ჩხაიძე
	ეკონომიკური და სოციალური კარტოგრაფია	5	30	15	50	18	10	2	მხოლოდ საზ. გეოგრაფიის სტუდენტები		✓	დ. ნიკოლაიშვილი
	ინგლისური ენა 3,	5	30	30	45	8	10	2	წინა საფეხურის ინგლისური ენა	✓	✓	მ.ქევხიშვილი თ. იაშვილი
	ინგლისური ენა 4	5	30	30	45	8	10	2	წინა საფეხურის ინგლისური ენა	✓	✓	მ.ქევხიშვილი თ. იაშვილი

ინგლისური ენა 5,	5	30	30	45	8	10	2	წინა საფეხურის ინგლისური ენა	✓	✓	მ.ქევხიშვილი თ. იაშვილი
ინგლისური ენა 6	5	30	30	45	8	10	2	წინა საფეხურის ინგლისური ენა	✓	✓	მ.ქევხიშვილი თ. იაშვილი
ზოგად გეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა	5		90	6	10	17	2	მხოლოდ საზ. გეოგრაფიის სტუდენტები		✓	ბ. წერეთელი
ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია	5	30	30	49	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ასოც.-პროფ. თამარ დოლბაია
აკადემიური წერა	5	15	15	65	18	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ხ. მარწყვშვილი თ. უკლება მ. აბრამიშვილი მ. შენგელია
საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	5	30	30	20	10+17	15	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ი. იაშვილი
საზოგადოებრივი გეოგრაფია და სოციალური თეორიები	5	30	15	46	12	19	3	წინაპირობის გარეშე	✓		. ა. ბერძენიშვილი
საზოგადოებრივი გეოგრაფიის არჩევითი სასწავლო კურსები											
ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის საფუძვლები, მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	10	30	60	50	40	67	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ. პავლიაშვილი
მოსახლეობის გეოგრაფია	5	30	30	25	17	20	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გ. გოგსაძე გ. კ ვინიკაძე
ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია	5	30	30	25	19	18	3	წინაპირობის გარეშე		✓	მ. ბოკერია ნ. ჯანელიძე
კულტურის გეოგრაფია	5	30	15	25	20	32	3	წინაპირობის გარეშე		✓	ბ. წერეთელი

	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	5	30	30	25	28	10	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზ. დავითაშვილი
	რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა)	5		90	6	10	17	2	ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა მხოლოდ საზ. გეოგრაფიის სტუდენტები		✓	მ. ბოკერია გ. გოგსაძე
	მსოფლიოს ქალაქები: გეოურბანისტიკის საფუძვლები	5	30	30	47	5	10	3	წინაპირობის გარეშე	✓		ი. სალუქვაძე
	მსოფლიოს რეგიონების და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 1 (ევროპა,	5	30	30	30	17	15	3		✓	✓	ვ. მელიქიძე ლ. აბაზაძე
	მსოფლიოს რეგიონების და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 2 (აზია, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ავსტრალია და ოკეანეთი)	5	30	30	30	17	15	3	მსოფლიოს რეგიონების და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 1 (ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა)	✓	✓	ვ. მელიქიძე ლ. აბაზაძე
	ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გეოგრაფია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. ასათიანი
	პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია	5	30	30	53	8	2	2	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მ. ბოკერია
	სივრცე, პოლიტიკა, იდენტობა	5	30	30	25	15	22	3	წინაპირობის გარეშე		✓	გ. გოგსაძე
	გეოეკონომიკის საფუძვლები	5	30	15	40	24	14	2	წინაპირობის გარეშე		✓	გ.კვინიკაძე
	მიგრაციის კვლევები (ინგლისურენოვანი ინტენსიური	5	15	15	35	20	40		წინაპირობის გარეშე		✓	ატილა მელეგი
	დემოგრაფიის საფუძვლები	5	30	15	10	30	38	2	წინაპირობის გარეშე	✓		ვ. ლორთქიფანიძე

	სამხრეთ კავკასია: სივრცე, საზოგადოება, განვითარება (ინგლისურენოვანი კურსი)	5	15	15	65	18	10	2	წინაპირობის გარეშე		✓	ი. სალუქვაძე
	საბაკალავრო ნაშრომი	10			250				მხოლოდ საზ. გეოს სტუდენტები;	✓	✓	--------

დამატებითი (Minor) სპეციალობა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

მიზანი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის, როგორც დამატებითი სპეციალობის მიზანია სტუდენტს შესაძლებლობა მისცეს:

- გაიაროს საზოგადოებრივი გეოგრაფიის მოკლე (60 კრედიტიანი) კურსი, რაც მას საშუალებას მისცემს მიიღოს დამატებითი სპეციალობა (Minor);
- დაეუფლოს საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ მეცნიერულ აზროვნებას; გამოიმუშაოს გეოგრაფიულ სალიტერატურო, სტატისტიკურ და სხვა სახის წყაროებთან მუშაობის ჩვევები; განავითაროს მოვლენებისა და პროცესების სივრცით-ტერიტორიული ანალიზისა და შეფასების უნარი;

შედეგები

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დამატებითი (Minor) სპეციალობა სხვა სოციალური და პოლიტიკური სპეციალობების წარმომადგენლებს დაეხმარება დაეუფლონ ამ დარგში დაგროვილი მეცნიერული ცოდნას, მისი კვლევის მეთოდიკას და გამოიყენონ ისინი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ტერიტორიული თავისებურებების გამოვლენაში.

სწავლის გაგრძელების საშუალება და დასაქმების სფერო

საზოგადოებრივი გეოგრაფიის Minor საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს აკადემიურ საფუძველს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლას გააგრძელებენ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრატურაში, ხოლო სტუდენტები, რომლებიც გაივლიან საზოგადოებრივი გეოგრაფიის დამატებით პროგრამას პროფესიული საქმიანობის შეიძლება გააგრძელონ სამთავრობო ორგანიზაციებში (მათ შორის დიპლომატიური სამსახურებში); საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო და კომერციული სტრუქტურები.

მიღების წინაპირობები - საზოგადოებრივი გეოგრაფიის Minor საბაკალავრო პროგრამაში მიღებას არ გააჩნია წინაპირობები.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა *პირობითად* შეიძლება გაიყოს სავალდებულო და არჩევით მოდულებად. Minor-ის შესასრულებლად სტუდენტმა უნდა მოაგროვოს 30 კრედიტი სავალდებულო კურსების, ხოლო 30 კრედიტი არჩევითი კურსების ჩაბარების მეშვეობით.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც დამატებითი (Minor) სპეციალობის კურიკულუმი

2016 წლის გაზაფხულის სემესტრი

კურსი	**ფორმა**	**სტატუსი**	**დონე**	**შემოდგომა**	**გაზაფხული**	**კრედიტი**
სავალდებულო კურსები:						**30**
საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი /შესავალი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში/	ლექ/სემ	სავალდებულო	I	X	X	5
მოსახლეობის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	II	X	X	5
ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	II	X	X	10
ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	II		X	5
საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	III	X	X	5
არჩევითი კურსები						**30**
მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია1	ლექ/სემ	არჩევითი		X		5
მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 2	ლექ/სემ	არჩევითი			X	5
საზოგადოებრივი გეოგრაფია და სოციალური თეორიები	ლექ/სემ	არჩევითი	**II-III**	X		**5**
სივრცე, პოლიტიკა იდენტობა	ლექ/სემ	არჩევითი	III		X	5
კულტურის გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	II		X	5
შესავალი გეოინფორმაციული სისტემებში	ლექ/სემ	არჩევითი	II	X	X	5
სოციალური და ეკონომიკური კარტოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	II		X	5
ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	III	X		10
ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	III	X	X	10
პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	III	X	X	5
მსოფლიოს ქალაქები: გეოურბანისტიკის საფუძვლები	ლექ/სემ	არჩევითი	III	X		5
ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა	საველე პრაქტიკა	არჩევითი	II		X (ივლისი)	5

Dდემოგრაფიის საფუძვლები	ლექ/სემ	არჩევითი		X		5
რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა	საველე პრაქტიკა	არჩევითი	III		X (ივლისი)	5
Gგეოეკონომიკის საფუძვლები	ლექ/სემ	არჩევითი	III		X	5
ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია	ლექ/სემ	არჩევითი	II	**X**	X	5
სულ						**60**